



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს ქალბატონ
ლელა ჯანაშვილს

ქალბატონო ლელა

თამაზიძე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონქვედებარე აქტი, რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ უნდა დარეგისტრირდეს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნულმა პლატფორმამ განიხილა დეკლარაციის ფორმები, რის შედეგადაც გაჩნდა შეკითხვები პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით.

კერძოდ, საფინანსო დეკლარაციის ფორმებში მოთხოვნილია პერსონალური მონაცემების (ხელფასის მიმღები პირის ვინაობა, საბანკო ანგარიში, პირადი ნომერი, კონტრაქტის დეტალები და ა.შ) წარდგენა. თავის მხრივ, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საფინანსო დეკლარაცია ექვემდებარება სათანადო ვებ-გვერდზე განთავსებას და საჯაროდ ხელმისაწვდომობას.

აღსანიშნავია, რომ მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საფინანსო დეკლარაციის ფორმაში ხსენებული გრაფების შეტანა შესაძლოა არ შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნას, რადგან კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი პერსონალური

მონაცემების მოპოვების უფლებას ანიჭებს უფლებამოსილ პირს მინიტორინგის ფარგლებში (დამატებით, საჭიროების შემთხვევაში) და ის არ არის კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადში/საფინანსო დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია, შესაბამისად, არ უნდა გამოქვეყნდეს.


მოგმართავთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და გთხოვთ, განმარტოთ:

1. შესაბამისობაშია თუ არა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს N1019 ბრძანებით დამტკიცებული „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ფორმის დანართები N1.1. – 1.12. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული წესებთან და მოთხოვნებთან.

2. საფინანსო დეკლარაციაში პერსონალური მონაცემების შეყვანით, რაც შემდგომ ექვემდებარება საჯაროდ განთავსებას, შესაბამისი სუბიექტები დაარღვევენ თუ არა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ სუბიექტების მიერ საფინანსო დეკლარაციის შევსებისთვის კანონით დადგენილი შემჭიდროვებული ვადები და კითხვებზე პასუხი მოგვაწოდოთ დაუყოვნებლივ.

პატივისცემით,
ნინო ჩხოზაძე



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე